

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასა

და

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს შორის

თბილისი, 2014 წლის 23 იანვარი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია (შემდგომში „აკადემია“) და საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო (შემდგომში „სამინისტრო“); ორივეს ერთად მოხსენიების შემთხვევაში „მხარეები“, გამოხატავენ სურვილსა და მზადყოფნას, ითანამშრომლონ საქართველოს სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის შემდგომ განვითარებასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლისა და გადაწყვეტის საქმეში. წინამდებარე მემორანდუმით „მხარეები“ ადასტურებენ, რომ თანამშრომლობის ყველა ეტაპზე უზრუნველყოფილი იქნება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის, საერთაშორისო ნორმებისა და სტანდარტების დაცვა, პრობლემური საკითხების მაქსიმალური გამჭვირვალობა და საჯაროობა.

1. ურთიერთთანამშრომლობის მიზნით „აკადემია“ გამოთქვამს მზადყოფნას, სამინისტროსთან ერთად და მისი წინადადებით:
 - ა) მონაწილეობა მიიღოს საქართველოს ენერგეტიკული სტრატეგიის დამუშავებისა და განხილვის პროცესებში;
 - ბ) მონაწილეობა მიიღოს „სამინისტროს“ მიერ საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების დამუშავებისა და განხილვის პროცესებში;
 - გ) შეასრულოს საინვესტიციო პროექტების ან მათი ნაწილის ტექნიკურ-ეკონომიკური ექსპერტიზა და მოამზადოს შესაბამისი დასკვნა;
 - დ) შეასრულოს საინვესტიციო პროექტების სოციალურ-ეკონომიკური და გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანალიზი და მოამზადოს შესაბამისი დასკვნა;
 - ე) შეასრულოს ფუნდამენტური და გამოყენებითი ხასიათის სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები;
 - ვ) განიხილოს და შეასრულოს სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის განვითარების პროგნოზირებისა და მისი პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრის სამუშაოები;
 - ზ) განახორციელოს ენერგეტიკულ სექტორში მიმდინარე და დაგეგმილი სტრატეგიული და მნიშვნელოვანი პროექტების ტექნიკური, ეკონომიკური,

გარემოსდაცვითი და სოციალური მონიტორინგი პროექტების, მშენებლობის და ექსპლუატაციის ყველა ეტაპზე.

2. „აკადემია“ უფლებამოსილია:

ა) „სამინისტროს“ მოწვევით მონაწილეობა მიიღოს „სამინისტროს“ მიერ ორგანიზებულ შეხვედრებში, თათბირებში, კონფერენციებში ან საჯარო განხილვებში;

ბ) დახმარება აღმოუჩინოს სამინისტროს და უზრუნველყოს ენერგეტიკის პოლიტიკასთან და სტრატეგიულ განვითარებასთან, ასევე, შესაბამის პროექტებთან დაკავშირებით დაინტერესებული საზოგადოების პროფესიული ინფორმირება.

3. „სამინისტრო“ უფლებამოსილია:

ა) წარუდგინოს „აკადემიას“ საჭირო ინფორმაცია აქტუალური სათბობ-ენერგეტიკული პრობლემების შესახებ;

ბ) ხელი შეუწყოს „აკადემიას“ მემორანდუმით გათვალისწინებული პრობლემების მეცნიერული შესწავლის პროცესში.

მემორანდუმის ძალაში შესვლა

აღნიშნული მემორანდუმი შედგენილია ორ, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

ხელმოწერილია:

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სახელით,

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი

აკადემიკოსი გიორგი კვესიტაძე



ხელმოწერილია:

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს სახელით

ენერგეტიკის მინისტრი ვახა კალაძე


